პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

24 აპრილი პარასკევი 1970

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 96 (14700)

დარბაზობა კრემლში

22 აპრილს კრემლის დიდ სასახლეში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დარბაზობა გამართა საზღვარგარეთელ სტუმართა პატივსაცემად, რომლებიც მონაწილეობდნენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში.

დარბაზობაზე იყვნენ სოციალისტური ქვეყნების პარტიათა და მთავრობათა დელეგაციები, არასოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების და მემარცხენე სოციალისტური პარტიების, პროფკავშირებისა და სხვა პროგრესული საერთაშორისო ორგანიზაციების დელეგაციები.

დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, პ. ე. შელესტი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, დ. ა. კუნაევი, პ. მ. მაშეროვი, ვ. პ. მჟავანაძე, შ. რ. რაშიდოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, პარტიის ვეტერანები, მინისტრები, თვალსაჩინო მხედართუფროსები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

სტუმრებს მიესალმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი **ლ. ი. ბრეჟნევი.** მან წარმოთქვა მარქს-ენგელს-ლენინის დიადი მოძღვრების, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე დროშის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის სადღეგრძელო.

ლენინის დროშით, თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, წავალთ წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

დარბაზობამ ჩაიარა გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში, მოძმე პარტიათა ერთიანობის, დიადი ლენინური იდეების გამარჯვების ნიშნით. (საკდესი).

მოსკოვი, 1970 წლის 22 აპრილი. კრემლის ყრილობათა სასახლე. პიონერები მიესალმებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის მონაწილეებს.



მოსკოვი, 1970 წლის 22 აპრილი. ახალგაზრდობის მანიფესტაცია წითელ მოედანზე, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი. სურათზე: მანიფესტაციის დრო.

ფოტო სკკდესისა (მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

მათ ვალდებულებები გაანაღდეს

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივებმა იკისრეს ოთხი თვის დავალება 1970 წლის 22 აპრილისათვის შეესრულებინათ. საწარმოთა უმრავლესობამ კისრებულად შეასრულა ეს ამოცანა.

კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოები, რომლებმაც ვადამდე გაანაღდეს ოთხი თვის გეგმა, აპრილის დასლევამდე დამატებით გამოუშვებენ 7.185 ათასი მანეთის პროდუქციას.

ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ პროდუქციის რეალიზაციის ხუთწლიანი გეგმა ჯერ კიდევ 1969 წლის 28 ოქტომბრისთვის შეასრულა, ხოლო 22 აპრილისათვის გამოუშვა 62 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერებაც.

დიდძალი შიფერი, ცემენტი, კერამიკული, მარმარილოს მოზაიკის მოსაპირკეთებელი ფილები და სხვა პროდუქცია გამოუშვეს ოთხი თვის გეგმის გადამეტებით საშეს მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა, ამასთან მიიღეს 38 ათასი მანეთით მეტი მოგება, ვიდრე ვალდებულებით იყო გათვალისწინებული.

ოთხი თვის დავალების ვადამდე შესრულებას უპატაკებენ აგრეთვე კომუნალური მეურნეობის, საავტომობილო გზების, ავტოტრანსპორტის, მსუბუქი, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროები, რესპუბლიკის „მთავარგაზი", საქართველოს ყველის მრეწველობის სამმართველო და სხვები. (საქდესი).

საქართველოს სსრ ხე-ტყის და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს მთელმა რიგმა საწარმოებმა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები წარმატებით გაანაღდეს. ახალდაბის საავეჯო ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი ს. კიკნაძე) ხუთწლედის გეგმა 16 აპრილისათვის შეასრულა, ასევე გადაჭარბებით გაანაღდა ოთხი თვის დავალება. ამავე რიცხვისათვის ოთხი თვის გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს ახმეტის სატყეო სამრეწველო მეურნეობამ (დირექტორი გოცირიძე) და საჩხერის ხე-ტყის დამზადების ბაზამ (დირექტორი ა. კლდიაშვილი).

თბილისი დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის **მეტროპოლიტენის** კოლექტივმა ახალი საწარმოო საჩქარი უძღვნა ქვეყანას: ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად — ვადამდე 8 დღით ადრე — 22 აპრილს შეასრულა ძგუბრთა გადაყვანის 4 თვის დავალება. ამასთან შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 14 პროცენტით ნაკისრ ვალდებულებასთან შედარებით, ხოლო მგზავრთა გადაყვანის თვითღირებულება შემცირდა 9 პროცენტით.

თბილისის ქალაღდის ფაბრიკის (დირექტორი ო. გამცემლიძე) კოლექტივმა ბელადის საიუბილეო დღეებში უპატაკა სამშობლოს მიმდინარე წლის ოთხი თვის დავალებისა და ყველა ნაკისრი ვალდებულების შესრულება. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 696 ათასი მანეთისა, რეალიზებულია 699 ათასი მანეთის პროდუქცია. მექალალდეებმა ვალდებულება იკისრეს, თვის ბოლომდე დამატებით გამოუშვან 15 ათასი მანეთის პროდუქცია.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულება და ოთხი თვის გეგმა თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი ნ. გვახარია) კომუნისტური შრომის კოლექტივმა ორი დღით ადრე შეასრულა. გეგმის გადამეტებით რეალიზებულია ათასობით მანეთის ნაწარმი, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. მიმდინარე ხუთწლედში მიღებულია 260 ათასი მანეთის ზეგეგმითი მოგება, შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 58 პროცენტით.

ქუთაისი ქალაქის **მრეწველობის** მშრომელებმა სასახელოდ შეასრულეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი. 21 აპრილისათვის 100.8 პროცენტით იქნა განაღდებული პროდუქციის რეალიზაცია და მეტ წილ სახეობათა ნაწარმის გამოშვების მიმდინარე წლის ოთხი თვის გეგმა.

ქუთაისის სამრეწველო საწარმოთა მშრომელებმა გადაწყვიტეს აპრილის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მისცენ სამშობლოს 7 მილიონი მანეთის პროდუქცია. (სსკ. კორ.).

ჭიათურა ქართველმა მაღაროელებმა ვადამდე შეასრულეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი. ბელადის საიუბილეოდ ნაკისრი ვალდებულების გადამეტებით სამშობლოს უკვე მისცეს 98 ათასი ტონა სასაქონლო მარგანეცი. შრომის ნაყოფიერება გადიდებულია 7,5 პროცენტით, დაზოგილია 3.997 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, რაციონალიზატორებმა ხუთწლედის ფონდში შეიტანეს 4.306 ათასი მანეთი, ზეგეგმითმა მოგებამ 2.121 ათასი მანეთი შეადგინა. მარტო ხუთწლედის დამამთავრებელი წლის პირველ კვარტალში მოგება 3.202 ათას მანეთს უდრის, საიდანაც 345 ათასი მანეთი ზეგეგმითია.

განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად იმუშავა კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა, რომელმაც ხუთწლიანი გეგმა უკვე შეასრულა. (სკ. კორ.).

თელავი საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 სამშენებლო ტრესტის თელავის № 4 სამშენებლო სამმართველოს (უფროსი ი. მეფუაშვილი) კოლექტივმა წარმატებით შეასრულა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეოდ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება. მშენებლებმა ოთხი თვის გეგმა 10 აპრილისათვის გადაჭარბებით შეასრულეს, ხოლო 22 რიცხვისათვის ხუთი თვის გეგმა გაანაღდეს.

კოჩუბეი ჩრდილოეთ კავკასიის ზამთრის სამოვრების სამმართველოს უფროსმა **მ. გელაშვილმა** ჩვენს რედაქციას აცნობა, რომ ქართველმა მეცხვარეებმა სასახელოდ გაანაღდეს **ვ. ი. ლენინის** საიუბილეოდ ნაკისრი ვალდებულებანი, საუკეთესოდ გამოაზამთრეს ცხვარი და მიიღეს ნაშატის შენარჩუნების მაღალი პროცენტი. 152.710 დედაცხვარზე მიღებული და შენარჩუნებულია 137.480 ბატკანი, ანუ 90 პროცენტი ნაცვლად 85 პროცენტისა.

დიდ წარმატებებს მიაღწიეს **ყაზბეგის** რაიონის მეცხვარეებმა. აქ 51.471 დედაცხვარზე მიიღეს 49.547 ბატკანი, ანუ 96,3 პროცენტი. თავი ისახელეს **დუშეთის** რაიონის მეცხვარეებმა, რომლებმაც 46.937 დედაცხვარზე მიიღეს 41.751 ბატკანი, რაც 88,9 პროცენტს შეადგენს. **ლენინგორელებმა** 38.800 დედაცხვარზე უზრუნველყვეს 33.970 ბატკნის მიღება, ეს კი 87,5 პროცენტს შეადგენს. **თიანეთის** რაიონმა 12.374 დედაცხვარზე მიიღო 9.900 ბატკანი, ანუ 80 პროცენტი.

პარტია და ხალხი ერთიანია

საქართველოს მშრომელები გულდასმით ეცნობიან ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას

დიადი მიზანი

„**დღევანდელი** საბჭოთა საზოგადოება — ეს არის პროლეტარული სოციალისტური ჰუმანიზმის იდეების რეალური განსახიერება" — თქვა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ მოხსენებაში, რომელიც გაეცნთ კრემლის ყრილობათა სასახლეში. მართლაც, ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, დღითი დღე სულ უფრო სრულად და მკაფიოდ ვგრძნობთ ამას. ლენინის უკვდავი იდეები, სოციალისტური იდეოლოგია გახდა დიადი პროგრესის დროშა, მთელი ჩვენი ხალხის შემოქმედებითი ძალებისა და აქტივობის უშრეტი წყარო.

საბჭოთა კავშირმა არა მარტო გაუსწრო ევროპის ყველა ქვეყანას, არამედ აგრეთვე მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონით ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიოში. მეცნიერების მთელ რიგ დარგებსა და დისციპლინებში საბჭოთა მეცნიერული აზრი დღეს განსაზღვრავს მსოფლიო მეცნიერების განვითარების დონეს.

საბჭოთა მეცნიერების განვითარების საერთო საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით საბჭოთა საქართველოს მეცნიერებსაც. ამას მოწმობს თუნდაც ის მაღალი შეფასება, რომელიც ამ დღეებში მიიღეს ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერთა წარმომადგენლებმა. უმნიშვნელოვანესი მეცნიერულ-ტექნიკური ნაშრომებისათვის მათ საიუბილეო წელს მიენიჭათ ლენინური პრემია.

საზეიმო კრება, რომელმაც შეაჯამა კომუნისტური მშენებლობის თვალსაჩინო შედეგები, გახდება იმ დიადი ენერგიის წყარო, რომელსაც ბადებს დიადი მიზანი.

თ. დავითაია,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი. (საქდესი).

ნათელი იდეები

ბელადის იუბილეს მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდა ჩვენი ქარხნის კოლექტივი. ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები დიდი გადაჭარბებით შესრულდა. საზეიმო დღეებში შრომითი ენთუზიაზმი კიდევ უფრო გაძლიერდა. ეს გასაგებიც არის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ღრმაშინაარსიან მოხსენებაში ყოველმხრივი ანალიზ ჰქონდა გაკეთებული ვ. ი. ლენინის მსოფლიო-ისტორიულ დამსახურებას, შეჯამებული იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გმირული საქმიანობა, მაღალორგანიზატორული როლი ლენინის იდეების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ვამაყობთ, რომ ამ დიად ეპოქაში, ვცხოვრობთ და ვშრომობთ.

ი. ჯაბიაშვილი,
თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის შუშის ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

ხალხზე ზრუნვა გვაავალებს

გულდასმით გავეცანით ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე, ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება გამსჭვალულია ხალხთა დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის საქმისადმი ერთგულებით, მშრომელ ადამიანებზე შეუნელებელი ზრუნვით.

ჩვენს კოლმეურნეობას ამას წინათ საზეიმო ვითარებაში გადაეცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რუსეთის სფსრ პროფსაბჭოს ლენინის საიუბილეო საპატიო სიგელი. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის.

ეს მაღალი ჯილდო ჯგუფალებს მომდინარე წელს უფრო მეტ წარმატებებს მივაღწევთ. პირველი წარმატებები შესრულებულია. სანიმუშოდ არის შოვლილი ჩვენი ზვრები, ბაღები, მინდვრები. მეცხოველეობის პროდუქტიბის დამზადების პირველი კვარტალის გეგმები გადამეტებით შესრულდა. მომდინარე წელს უფრო მეტსა და მაღალხარისხოვან პროდუქტებს მივიღებთ ქვეყანას.

გ. ელაშვილი
სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე,
ს. ზუბანაშვილი,
ბ. ბოკოლიშვილი,
ბრიგადირები.

პამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი და ნ. ვ. პოდგორნი შეხვდნენ კორეის შრომის პარტიის დელეგაციას

23 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ნ. ვ. პოდგორნი შეხვდნენ კორეის შრომის პარტიის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კომიტეტისა და პოლიტიკური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ციო ენ გენი და რომელიც მოსაწვეულობდა ვ ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღღესასწაულში.

საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა, მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და კორეის შრომის პარტიის, საბჭოთა კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხებზე.

ზეიმი ილიჩის სამშობლოში

ულიანოვსკი, 22 აპრილი. (საქდესის კორ.). დღეს სამუშაო დღეა, მაგრამ ყველგან სადღესასწაულო განწყობილება სუფევს. ვ. ი. ლენინის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშები გენიალური მოაზროვნისა და რევოლუციონერის დაბადების 100 წლისთავის დღეს განსაკუთრებული შთაგონებით შრომობდნენ დაზოგილი მასალებით, საათობით, ელექტროენერგიით, ლითონით. კონვეიერიდან ჩამოვიდა ასზე მეტი მანქანა—ავტოქარხნელთა საჩუქარი ლენინის იუბილესათვის.

ულიანოვსკი... გაზაფხულის პირველი წვიმებით მორწყული ქალაქის ქუჩები და მოედნები სადღესასწაულოდ არის მორთული. ყველგან წითელი პანერები, ტრანსპარანტები, ფოტოვიტრინები და სტენდებია.

ქალაქის წმიდათა წმიდა ლენინური ადგილებისაკენ — ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმისაკენ, ყოფილი სიმბირსკის გიმნაზიისაკენ, რომელშიც ვ. ი. ლენინი ეწოდა ულიანოვი სწავლობდა, უწყვეტ ნაკადად მიედინება ხალხი. ცენტრალური მოედანი, რომელიც ბელადის სახელს ატარებს, დილიდან გვიან საღამომდე ხალხით იყო სავსე. აქ მოდიოდნენ ქალაქის ყოველი კუთხიდან. ვ. ი. ლენინის ძეგლის კვარცხლბეკი ყვავილებით დაფარა.

წითელ მოედანზე

სოციალისტური სამშობლოსადმი, ლენინის პარტიისადმი, მშობლიური მთავრობისადმი თავდადებული ერთგულება ცხადყო საბჭოთა ახალგაზრდობამ 22 აპრილს წითელ მოედანზე. მანიფესტაციაში მონაწილეობდა მოზარდი თაობის ყველა რაზმი — ოქტომბრელები, პიონერები, კომკავშირელები.

...წითელი მოედანი. აქ არაერთხელ წარმოუთქვამს სიტყვა ლენინს, რომლის სახელი კომკავშირელთა დროშაზე და გულშია. უზარმაზარ პანოზეა ილიჩის პორტრეტი. ბელადი თითქოს ახალგაზრდა კომუნარების, რევოლუციის მემკვიდრეობის პარადს იღებსო.

საბჭოთა ახალგაზრდობის ერთგულება

საბჭოთა ადამიანების უფროსი თაობებისაგან ისწავლეს მათ მოქალაქეობრივი შეგნება თავიანთი ადგილისა საერთო მწყობრში, კომუნისტური რწმენა, მისწრაფება თვითეული თავიანთი ნაბიჯი შეამოწმონ დიდი ლენინის მიხედვით.

მავზოლეუმის ტრიბუნაზე არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მ. ტიაჟელნიკოვი, სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. კოსტოტინი, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ო. პრომისლოვი, სკკპ მოსკოვის საქალაქო და საოლქო კომიტეტების მდივნები, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, მოსკოვის საქალაქო კომიტეტის, მოსკოვის საოლქო კომიტეტის მდივნები, სსრ კავშირის ხალხგანთქმული კოსმონავტი მფრინავები.

ახალგაზრდებს მიესალმა ხალხგანთქმული მფრინავი, სამგზის საბჭოთა კავშირის გმირი ა. ი. პოკრიშკინი.

მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის კომკავშირის წარმომადგენლებმა ყვავილები მიიტანეს ვ. ი. ლენინის მავზოლეუმთან.

მანიფესტაციის მონაწილეებმა დიდი ენთუზიაზმით გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს. ისინი პირობას დებენ, რომ დამკვრელური შრომით, ბეჯითი სწავლით, თვითეული განვლილი დღით მოაახლოებენ კომუნიზმის, გამარჯვებას, განახორციელებენ ბელადის ანდერძს.

წითელ მოედანზე გრიალებს მძლავრი კომკავშირული „ვაშა". კოლონების თავზე აღიმართა უზარმაზარი საჰაერო ბურთი ალმით, რომელზეც გამოსახულია ვ. ი. ლენინი.

მანიფესტაციის მონაწილენი მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს".

ვ. ი. ლენინის მავზოლეუმთან მოსკოვის ახალგაზრდობამ ფიცი დადო, რომ ღირსეულად ატარებს მამათა ეტაჟეტას, აქტიურად იბრძოლებს ლენინიზმის გამარჯვებისათვის, ილიჩის ანდერძის განხორციელებისათვის.

საზეიმო სხდომა კრემლში

კრემლის ყრილობათა სასახლეში გამართული ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის ანბარიშის დასასრული.

□ □

ტრიბუნაზეა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პრეზიდიუმის აღმასრულებელი ბიუროს წევრი ვ. ბაკარიჩი. რუსმა პროლეტარიატმა, აღნიშნა მან, ლენინის ხელმძღვანელობით მოიპოვა გამარჯვება. რომელიც მსოფლიოში პროლეტარიატის პირველი გამარჯვება იყო. მან წარმატებით დაიცვა იგი პირველი გაფთრებული შეტევებისაგან და ეურდნობოდა რა თავის ტრადიციებს, იცავდა საბჭოთა სახელმწიფოს მთელი ისტორიის განმავლობაში. დადგა დრო, როცა სოციალიზმის მშენებლობამ და სოციალისტურმა ურთიერთობამ გადაბიჯა საბჭოთა კავშირის მიჯნებს და ხელ უფრო ფართოდ გავრცელდა ახალ მრავალმილიონიან მასებში, მათი ყოველდღიური პრაქტიკა გახდა. ჩვენ, იუგოსლავი კომუნისტები, ხაზგასმით აღნიშნა ვლადიმერ ბაკარიჩმა, ისევე როგორც ყველა ხალხი, ვიფიცებთ და დავიფიცებთ ამ ფაქტს.

შეეხო რა იუგოსლავ კომუნისტთა ბრძოლას, ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმის შემდეგ პარტიამ შეძლო გაეჩაღებინა საყოველთაო-სახალხო ომი ოკუპანტთა წინააღმდეგ, რომლის შედეგად ქვეყანაში მოხდა დიდი რევოლუციური სოციალისტური გარდაქმნები.

ვ. ბაკარიჩმა განაცხადა, რომ ლენინის აზრი და საქმე იყო და არის იუგოსლავი კომუნისტებისათვის შემოქმედებითი, მუდმივი შთაგონების წყარო. მან თავის სიტყვა დაამთავრა იმით, რომ გამარჯვება უსურვა ლენინიზმს — მსოფლიოს ყველა პროგრესული ადამიანის შემოქმედებითს მოძღვრებას.

ლენინის სახელთან, მის მოღვაწეობასთან დაკავშირებულია მსოფლიოს ძირეული გარდაქმნა, თქვა გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა მ. რაბიმანმა. ლენინი იყო მარქსისა და ენგელსის მოძღვრების შემოქმედებითი განხორციელების დიდოსტატი. მან შექმნა ახალი ტიპის პარტია, რომელმაც მშრომელები აამხედრა რუსეთში კაპიტალიზმის დასამხობად.

გერმანიის მუშათა მოძრაობისათვის, განაგრძო ორატორმა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია გახდა კომუნისტური პარტიის შექმნის საგანალი. თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე მან გააჩაღა შეუპოვარი ბრძოლა გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ამასთან გერმანიის კომუნისტური პარტია მუდამ ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს ლენინის შემოქმედებითი იდეებით.

მ. რაიმანმა აღნიშნა, რომ ლენინის იდეებმა ნაყოფი გამოიღეს გერმანიის მიწა-წყალზეც. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში წარმატებით შენდება სოციალიზმი. ლენინის იდეები ხორციელდება სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებში, მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ყველა რაზმის ბრძოლაში.

ჩვენ სიამაყითა ვართ, თქვა ორატორმა, ეხელმძღვანელობთ კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებებით. ვასრულებთ რა ჩვენს ინტერნაციონალურ მოვალეობას, ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა მივაღწიოთ მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობას, გავაერთიანოთ მშვიდობის ყველა მომხრე, არ დავუშვათ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიიდან დაიწყოს ახალი ომი.

ჩვენ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კომუნისტები, ლენინის საქმის ერთგულნი, სრულ სოლიდარობას ვუცხადებთ ლენინურ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელსაც საბჭოთა კავშირის ხალხები მიჰყავს კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

ხაზეიმო სხდომის მონაწილეებს, სტუმრებს მიესალმნენ პიონერები. უფროსი თაობის წარმომადგენლები აღფრთოვანებით უსმენდნენ ილიჩის შვილიშვილებს, რომლებიც ლაპარაკობდნენ ბედნიერ ბავშვობაზე, გეგმებზე, ოცნებებზე.

საბჭოთა ახალგაზრდობის პატრიოტულ საქმეებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა სრულიად საკავშირო ალკაკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. მ. ტიაჟელნიკოვმა.

45 წელია კომკავშირი სიამაყითა და სიხარულით ატარებს ყველაზე საპატიო, უსაზღვროდ ძვირფას ლენინის სახელს, თქვა მან. ისევე როგორც განუყოფელია ლენინი და პარტია, ასევე განუყოფელია ლენინისაგან, ლენინიზმისაგან ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის დაბადება და ცხოვრება. კომკავშირის ყველა წარმატებები იგრძნობა ლენინის გენიალური იდეების უკვდავი სუნთქვა. ლენინმა, კომუნისტურმა პარტიამ შექმნეს, გამოზარდეს ეს კომკავშირი.

ყველა კომკავშირული თაობის საქმიანობის პროგრამა გახდა ვლადიმერ ილიას-ძის ისტორიული სიტყვა რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის III ყრილობაზე, ხაზი გაუსვა ორატორმა, კომკავშირი გახდა მილიონობით ხაბჭოთა ქალიშვილისა და ჭაბუკის პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის სკოლა, ლენინური პარტიისადმი, სოციალისტური სამშობლოსადმი ახალგაზრდა თაობათა ერთგული სამსახურის სიმბოლო. კომკავშირელები და ახალგაზრდები განაგრძობენ იმათ გმირულ ტრადიციებს, ვინც ქმნიდა პირველ უჯრედებს, ვინც წერდა ხაბჭოეთის ისტორიის პირველ ფურცლებს, ვინც მკერდით იცავდა ჩვენს დედა-სამშობლოს ფაშისტური ბირიგისაგან, ვინც მოიპოვა თვალსაჩინო წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში, მეცნიერებაში, ტექნიკაში, კულტურაში, ვინც დაიპყრო კოსმოსი.

ახალგაზრდა მშრომელებმა, განაცხადა ე. მ. ტიაჟელნიკოვმა, წარმატებით შეასრულეს ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი დიდი ვალდებულებანი. კომკავშირის შრომითი საქმეების, მარქსისტულ-ლენინური სწავლისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის საბრძოლო დათვალიერება გახდა სრულიად საკავშირო ლენინური ჩათვლა. 54 მილიონზე მეტმა კომკავშირელმა, ქალიშვილმა და ჭაბუკმა მიიღო მონაწილეობა სრულიად საკავშირო კომკავშირულ კრებაში, რომელმაც კვლავ გვიჩვენა, რომ ქვეყნის ახალგაზრდა თაობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კიდევ უფრო ბეჯითად იშრომოს კომუნიზმის ასაშენებლად.

პარტიის უდიდესი რწმენა კომკავშირისადმი, ახალგაზრდობისადმი, რაზეც ასეთი სიყვარულით ლაპარაკობდა თავის მოხსენებაში ლენინდ ილიას-ძე ბრეჟნევი, თქვა დასასრულ ე. მ. ტიაჟელნიკოვმა ალაფრთოვანებს საბჭოთა ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, კომკავშირელებს ახალი გმირობისათვის ჩვენი საუკუნის სამშობლოს გაფურჩქვნისათვის, ლენინის წმიდათაწმიდა იდეების გამარჯვებისათვის.

სამამრო სხდომაზე პირველი გამოვიდა ფინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ვ. პესი. იგი გულთბილად მიესალმა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს. ლენინის წინამძღოლობით განხორციელებულმა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, თქვა ვ. პესიმ, დასაბამი მისცა მსოფლიო ისტორიის ახალ ერას. ლენინის იდეების ცხოველმყოფელი ძალის ნათელი დადასტურებაა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მიღწევები ცხოვრების ყველა დარგში, მიღწევები, რომლებიც შთააგონებენ მუშათა კლასსა და სხვა პროგრესულ ძალებს ყველა ქვეყანაში მშვიდობისა და თავისუფლებისათვის საბრძოლველად.

რევოლუციური ბრძოლა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, ოღონდ რა წარმოების ახლადდელ რთულ ვითარებაში, ამ ბრძოლის წარმატებითი შედეგები დამაჯერებლად მოწმობენ ლენინის მოძღვრების სანდოობას, მის აქტუალობას, მის მნიშვნელობას ბრძოლის სწორი ფორმებისა და მეთოდების მონახვისათვის.

ფინეთში, განაცხადა ორატორმა, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს პატივს სცემენ ყველაზე ფართო საზოგადოებრივი წრეები. ჩვენს ქვეყანაში კარგად იციან, როგორ იბრძოდა იგი ხალხთა თავისუფლებისათვის, ცარიზმისა და კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შედეგად ფინეთმა მოიპოვა სახელმწიფო დამოუკიდებლობა.

განსაკუთრებით დიდად სცემენ პატივს ლენინს — რევოლუციის დიდ თეოლოგიკოსს, დიდ რევოლუციონერს ფინეთის მუშათა კლასი, მშრომელები.

ლენინი არაერთხელ ყოფილა ფინეთში, და ის უცვლელი კეთილგანწყობა, რომლითაც იგი და ბოლშევიკთა პარტია ეკიდებოდნენ ჩვენი ქვეყნის მუშათა მოძრაობას, ხელს უწყობდა ფინეთისა და რუსეთის რევოლუციონერთა თანამშრომლობის განვითარებას. ყოველივე ეს ავსებს ლენინის როგორც დიდი ინტერნაციონალისტის სახეს, რომლისთვისაც მუშათა კლასის ბრძოლის ეროვნული და საერთაშორისო ასპექტები განუყოფელია ერთიმეორისაგან.

— ვუსურვებთ თქვენს პარტიას, მთელ საბჭოთა ხალხს, რომელიც ადგას ლენინის გზას, ყველაზე დიდ წარმატებებს, — თქვა დასასრულ ვ. პესიმ.

ესპანეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ დ. იბარურიმ მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს იმისათვის, რომ მათ სინამდვილედ აქციეს ლენინის ოცნება, იმისათვის, რომ მათ განაგრძეს ლენინის მიერ დაწყებული საქმე, იმისათვის, რომ გლეხური ქალამნიანი რუსეთი, სადაც პოლიციური მათრახი ბატონობდა, გადაქციეს დიდ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ.

დ. იბარურიმ ილაპარაკა ესპანეთის კომუნისტური პარტიის შესახებ, რომლის საქმიანობა უკვე მრავალი წელია მიმდინარეობს სისხლიანი ფრანკისტული ტერორის პირობებში.

ლენინის იუბილეს დღესასწაულის დღეებში, თქვა მან, ესპანეთის ქალაქებში გამოკიდეს მრავალი პლაკატი, რომლებზეც გამოსახულია ლენინი, გაავრცელეს ბევრი სამკერდე ნიშანი. იუიდება ასეულ ათასობით ცალი ლეგალური და არალეგალური უურნალი და გაზეთი, რომლებიც აღნიშნულია ლენინის იუბილე. ახლა ლენინის ნაწარმოებებზე მოთხოვნა მეტია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ათასობით მუშა, გლეხი, სტუდენტი და ინტელიგენციის წარმომადგენელი უკვე შევიდა და კვლავ შედის პარტიის რიგებში ლენინური გაწვევით, რომელიც დიდი თარიღის აღსანიშნავად გამოცხადდა. შეიქმნა ახალი პარტიული ორგანიზაციები პროვინციებსა და დასახლებულ პუნქტებში.

ესპანელი კომუნისტები, განაცხადა დ. იბარურიმ, იყვნენ, არიან და სამუდამოდ დარჩებიან საბჭოთა კავშირის გულწრფელ მეგობრებად. ესპანელი კომუნისტებისათვის ლენინის სახელი და საქმე დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის დროშაა.

იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის მთავარი მიზანი ორმოცდაათ წელზე მეტი ხნის მანძილზე იყო და არის ლენინიზმის მოსპობა, თქვა სირიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ჯ. ბაბდამმა. მაგრამ ლენინის დაბადების ასი წლისთავის დღესასწაულის დღეებში ვხედავთ, რომ ლენინიზმმა მოსპო იმპერიალიზმიც და კაპიტალიზმიც დედამიწის მესამედზე. კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ლენინიზმი ახლა აღარ არის მარტო ჩვენი, კომუნისტთა კუთვნილება, რომ იგი მთელი მსოფლიოს ათობით, ასობით მილიონი ადამიანის კუთვნილება ხდება. მუშები, გლეხები, სტუდენტები, რევოლუციური ინტელიგენცია, ახალგაზრდობა, ქალები ჩვენს ქვეყანაში დღეს ლენინის ნიგნებს კითხულობენ ქარხნებსა და ფერმებში, სკოლებში და შინ, ამ წიგნებს კითხულობენ მამაცი არაბი პარტიზანები თავიანთ ბანაკებსა და ბაზებში. ლენინის ნაშრომებში ისინი იკრებენ რწმენას, რომ გაიმარჯვებენ თავიანთ სამართლიან გმირულ ბრძოლაში.

ლენინის მოძღვრება, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, გვიჩვენებს დიდი და პატარა ერებისა და ხალხების აყვავების სწორ გზას კლასობრივ წინააღმდეგობათა მოსპობის საფუძველზე, მათი ქვეყნების აღმავლობისა და განმტკიცების, ეროვნული შუღლის მოსპობის, ხალხთა შორის ძმობისა და თანამშრომლობის ურთიერთობის დამყარების სწორ გზას.

დიდი ამოცანა, რომელიც დგას სირიისა და სხვა მოძმე არაბული ქვეყნების წინაშე, ხაზი გაუსვა ჯ. ბაგდაშმა, არის ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაცია, რომელსაც მხარს უჭერენ ამერიკის იმპერიალიზმი და საერთაშორისო სიონიზმი, ოკუპირებული არაბული ტერიტორიების განთავისუფლება. ჩვენ, სირიელი კომუნისტები, უდიდეს მადლობას ვუხდით საბჭოთა ხალხს მსხვერპლისათვის, როცა გვეხმარება ეკონომიურად, იარაღითა და მოწყობილობით.

ჩვენი ხალხი, თქვა დასასრულ ორატორმა, მიდის წინ, დარწმუნებული იმით, რომ აუცილებლად გაიმარჯვებს თავისი ერთიანობის, თავისი ბრძოლის მეობებით, თქვენი * სოლიდარობისა და დახმარების მეობებით, ჩვეო გმირო საბჭოთა ამხანაგებო!

ჩილეს მუშათა მოძრაობამ, რომელიც ჩაისახა გასული საუკუნის შუა ხანებში, თქვა გამოსვლაში ჩილეს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კომისიის წევრმა ო. მილიასმა, ახალი განკანება, სიღრმე და ძალა მიიღო მძლავრი სტიქიულმა — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეოხებით. მისი გავლენით მუშათა სოციალისტური პარტია გარდაიქმნა ჩილეს კომუნისტურ პარტიად, რომელსაც ახლა კანონიერი სიამაყით შეუძლია განაცხადოს, რომ განუხრელად ერთგულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისა.

ჩილეში, განაგრძო ორატორმა, ჩადება შეუპოვარი პოლიტიკური ბრძოლა. იგი ხასიათდება იმით, რომ პატრიოტული ძალები, მუშათა კლასის მეთაურობით, აქტიურ წინააღმდეგობას უწევენ ჩრდილოეთ ამერიკის იმპერიალიზმს, შინაურ ფინანსურ ოლიგარქიასა და მემამულეებს. საგაფიცვო მოძრაობა, მასობრივი დემონსტრაციები ქალაქად და სოფლად, მშრომელთა გამოსვლები თავიანთი უფლებებისათვის, ახალგაზრდობის ბრძოლა სულ უფრო ფართოდ ჩადგება.

დიდი ლენინის 100 წლისთავი აღინიშნება საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური გაფურჩქვნის პირობებში, ხაზი გაუსვა ო. მილიასმა, სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის პოლიტიკური, იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავებისა და მთელი მსოფლიოს რევოლუციური და პროგრესული ძალების ბრძოლის დიდი აღმავლობის ვითარებაში. ახალი, კიდევ უფრო დიდი გამარჯვებების მისაღწევად უნდა დავიცვათ ლენინიზმი ბურჟუაზიული და ოპორტუნისტული დამახინჯებებისაგან, ვიყოთ მისი იდეების ერთგული. გაუმარჯოს ლენინიზმს! ამ სიტყვებით დაამთავრა თავისი გაღიარება ჩილელმა კომუნისტმა.

ლენინის სახელთან, თქვა პორტუგალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ბ. პუნ�მა, დაკავშირებულია ჩვენი ეპოქის ყველა დიდი რევოლუციური მიღწევა. ლენინიზმი უნივერსალური მოძღვრებაა, რომელიც განუწყვეტლივ მდიდრდება. მისი შეეხიერული ხასიათი და ადასტურა რევოლუციუმა პრაქტიკამ. ამიტომ კანონზომიერია, რომ კომუნისტები, ყველა ქვეყნის მშრომელები, ზეიმობენ რა ლენინის დაბადების 100 წლისთავს, აღნიშნავენ თავიანთ საუთარ წარმატებებსა და გამარჯვებებს, რომლებიც მოიპოვეს ლენინიზმის დროშით. ამასთანავე ახლა ყველას მწყრა მიპყრობილია, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირისადმი. პატივს ვერ ვცემთ ლენინს, თუ პატივს არ ვცემთ მისი საქმის უშუალო და კანონიერ გამგრძელებლებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხალხმა, ასრულებენ რა ლენინის ანდერძს, აამენეს ყველაზე პროგრესული, ყველაზე დემოკრატიული საზოგადოება, რომელიც კი ოდესმე ყოფილა კაცობრიობის ისტორიაში. მათ გადაწყვეტეს წვლილი შეიტანეს მთელი რევოლუციური პროცესის დაჩქარებაში.

ვზეიმობთ რა ლენინის დაბადების 100 წლისთავს, თქვა შემდეგ ორატორმა, ჩვენ, პორტუგალიელი კომუნისტები, ვიმბობთ, რომ ლენინს უნდა ვუძადღოდეთ ჩვენი პარტიის შექმნას, არსებობასა და წარმატებებს. ჩვეო ვიცავდეთ, ოომ პოოტუგალიელ მშრომელთა საბრძოლო წარმატებანი მჭიდროდაა დაკავშირებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ხაბჭოთა ხალხის წარმატებებთან ხა გამარჯვებებთან, სხვა ქვეყნების მომძე პარტიებისა და მშრომელების ბრძოლასა და სოლიდარობასთან. დარწმუნებული ვართ ავრეთვე, რომ ლენინის მიერ ნაჩვენები გზა ერთადერთი გზაა, რომელიც ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს მიიყვანს გამარჯვებამდე.

არგენტინის კომუნისტური პარტიის სახელით საზეიმო სხდომის მონაწილეებს მიესალმა არგენტინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ხ. ა. ალვარესი. ლენინი, თქვა მან, მუდამ ცოცხლობს ახალი სამართლიანი საზოგადოების აშენებისათვის მილიონობით მებრძოლთა გულში. ლენინი ცოცხლობს იმ უდიდეს წვლილში, რომელიც მან შეიტანა მარქსიზმის განვითარებაში. ლენინი მსოფლიოს ხალხთა იმედია. მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით ირაზმებიან სულ უფრო ფართო მასები, მასების საუკეთესო წარმომადგენლები უერთდებიან რევოლუციურ ავანგარდს, რომელსაც წარმოადგენენ თვითეული ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიები.

ჩვენი პარტიის რიგებში ლენინური გაწვევის წელს, აღნიშნა ხ. ა. ალვარესმა, შეივდა 15 ათასი ახალი წევრი.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად, თქვა ორატორმა, იატაკქვეშეთის უმძიმესი პირობების მიუხედავად, ჩვენი პარტია უშვებს ლენინის ნაწარმოებთა სრული კრებულის მეორე გამოცემას. 1970 წლის აპრილისთვის უკვე გამოცემულია 20 ტომი 60 ათასი საერთო ტირაჟით. წლის დამლევამდე გამოიცემა მთელი ტირაჟი — 150 ათასი.

ჩვენ ვერ ვიბრძოლებთ და ვერ ვიცხოვრებთ, თუ არ გავავრცელეთ დიდი ლენინის მოძღვრება მასებში, თუ არ აღვზარდეთ ისინი მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციური სულისკვეთებით.

